ჩემი კლიმატმეგობრული სკოლა

ავტორი: მაია ინასარიძე

სამიზნე

აუდიტორია:

ქართული ენისა და

ლიტერატურის

მასწავლებლები

რესურსის ტიპი:

[გზამკვლევი ქართული]

პრაქტიკული გამოყენება:

მასწავლებელი გამოიყენებს ინტერდისციპლინარული პროექტის

,,ჩემი კლიმატმეგობრული სკოლის“ განხორციელებისას

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებულია ინტერდისციპლინარული პროექტი „ჩემი კლიმატმეგობრული სკოლა“, რომელიც გათვალისწინებულია მე-8 კლასში განსახორციელებლად

წინამდებარე გზამკვლევი დაეხმარება

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს თავიანთი საგნობრივი ნაწილის წარმართვაში

რეკომენდაცია მასწავლებელს: დროის ფაქტორიდან გამომდინარე, შეგიძლიათ, თავად შეარჩიოთ აქტივობები. აქტივობები ერთმანეთთანაა დაკავშირებული, მაგრამ რომელიმეს გამოტოვება არ არღვევს სტრუქტურას.

<u>სავალდებულოა აქტივობები, რომლებიც მე-8 კლასის მასალას უკავშირდება.</u>

<u>სწავლის შედეგები:</u>

ქართული:

ჟანრებს შორის მსგავსება-განსხვავების განსაზღვრა მათი საერთო ან/და სპეციფიკური მახასიათებლების გასააზრებლად, ნაცნობი ჟანრის მახასიათებლების ცოდნის მიზნობრივად გამოყენება (მაგ., წაკითხულის გასააზრებლად, ტექსტების შესაქმნელად).

ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებისა და გრამატიკის ნორმების ცოდნის მიზნობრივად გამოყენება (მაგ., წაკითხულის გასააზრებლად, ნაწარმოების მხატვრულ-ესთეტიკური მხარის შესაფასებლად, ინტერპრეტირებისათვის, ტექსტების შესაქმნელად).

შესაბამისი სტრატეგიების გამოყენებით, განსხვავებული ჟანრისა და ფორმატის ტექსტების შექმნა-გაზიარება სხვადასხვა მიზნით (მაგ., ცოდნისა თუ იდეების გაზიარების, წაკითხულზე რეფლექსიის შედეგების წარმოჩენის, შემოქმედებითი თვითგამოხატვის). საკომუნიკაციო სიტუაციის ფაქტორების ცოდნის მიზნობრივად გამოყენება (მაგ., ტექსტის ეფექტიანობის შეფასებისთვის, ადეკვატური ზეპირი ან/და წერითი მეტყველებისთვის).

საკითხი – წერილობითი რეპორტაჟის მომზადება სასკოლო ჟურნალისთვის კლიმატმეგობრული სკოლების დანიშნულებასა და მნიშვნელობაზე.

დავალების პირობა: მოამზადეთ სასკოლო ჟურნალისთვის წერილობითი რეპორტაჟი, რომლის მიზანიც იქნება, სასკოლო საზოგადოებას გააცნოთ სკოლაში მიმდინარე პროცესები, კონკრეტულად, დაგეგმილი პროექტის მნიშვნელობა და კლიმატმეგობრული სკოლების დანიშნულება.

ამისათვის:
რეპორტაჟში წარმოაჩინეთ ობიექტური დაბალანსებული ინფორმაცია; გამოკვეთეთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია და კონკრეტული დეტალები, რომლებიც უკეთ წარმოაჩენს კლიმატმეგობრული სკოლების ფუნქციას.

- გამოიყენეთ ჩართული ინტერვიუები დარგის სპეციალისტებთან/მონაწილეებთან... მათი დამოკიდებულებებისა თუ შეფასების წარმოსაჩენად.
- შეარჩიეთ ისეთი ენა და სტილი, რომ რეპორტაჟმა დააინტერესოს მკითხველი.
- გააფორმეთ ვიზუალურად და დაურთეთ ფოტომასალა.

<u>აქტივობა 1. დავალების პირობის გაცნობა</u>

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს დავალების პირობას და მსჯელობენ ერთობლივად:

- რას მოითხოვს ეს დავალება – მოსწავლეები საკუთარი სიტყვებით აყალიბებენ დავალების პირობას.
- რა იციან და რისი შესწავლა დასჭირდებათ – მოსწავლეები გაიხსენებენ მოცემულ თემაზე სხვადასხვა საგანში მიღებულ ინფორმაციას, ამავდროულად ისაუბრებენ, რა იციან რეპორტაჟის ჟანრზე, გაიხსენებენ სხვადასხვა ტიპის რეპორტაჟებსა და მათ მახასიათებლებს...
- იმსჯელებენ, როგორ უნდა იმუშაონ ერთი თვის განმავლობაში – აკეთებენ მონახაზს, რაზე მოუწევთ მუშაობა და როგორ.

<u>აქტივობა 2. რეპორტაჟის ჟანრული მახასიათებლების გამოყოფა</u>

მოსწავლეები აკვირდებიან ამონარიდებს რეპორტაჟებიდან (ამონარიდები, შესაძლებელია, მიაწოდოს მასწავლებელმა, ან თავად შეარჩიონ თანამედროვე გაზეთებიდან/ჟურნალებიდან) და მაგალითების საფუძველზე ერთობლივად გამოყოფენ იმ ძირითად ასპექტებს, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია კარგი რეპორტაჟის მოსამზადებლად. შემდეგ კი იწყებენ ეტაპობრივად თითოეულზე მუშაობას.

რესურსი 1. რეპორტაჟის ბმულები:

https://multimedia. tsu. ge/ge/article/metividreinformacia

https://multimedia. tsu. ge/ge/article/qaliliteraturashi

https://multimedia. tsu. ge/ge/article/WorldChicago

https://multimedia. tsu. ge/ge/article/sanamtbiliss

<u>აქტივობა 3. ინფორმაციის მიწოდება</u>

მოსწავლეები მაგალითების მოხმობით მსჯელობენ, რა უნდა გაითვალისწინონ ინფორმაციის მიწოდების დროს, რის შემდეგაც მასწავლებელი სთხოვს, „შეწყობილ ნიშანთა სისტემით“ (იხ. http://mastsavlebeli. ge/?p=18510) წაიკითხონ ქვემოთ მოცემული ტექსტი (რესურსი 2.), გამოყონ – რა იყო მათთვის მნიშვნელოვანი, რას ეთანხმებიან, რას – არა, რა კითხვა გაუჩნდათ... და შემდეგ მსჯელობა შეავსონ კონკრეტული მაგალითებით, ისაუბრონ, როგორ წარმოჩნდა მოცემული ასპექტები მათთვის ნაცნობ რომელიმე რეპორტაჟში.

რესურსი 2. – ამონარიდი ნაშრომიდან: „ჟურნალისტიკა საშუალო სკოლის მოსწავლეთათვის“ – სასწავლო პროგრამა, დამხმარე სახელმძღვანელო მასწავლებლისთვის IREX-ის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილება.

საუკეთესო რეპორტაჟის ძირითადი თვისებები: სიზუსტე, მიუკერძოებლობა, სიცხადე

ახალი ამბის გადმოცემის სამი ძირითადი პრინციპია: სიზუსტე, მიუკერძოებლობა და სიცხადე. გაზეთები და სხვა მედიასაშუალებები პროფესიონალური და მიუკერძოებელი რეპორტაჟების საშუალებით ახერხებენ მკითხველთა და მსმენელთა ნდობის მოპოვებას.

<u>იყავით ზუსტი</u>

რეპორტაჟი ახალი ამბის შესახებ ფაქტებსა და ციფრებს უნდა ემყარებოდეს. ზოგიერთი ამბის გადმოცემა უფრო ადვილია, ვიდრე სხვებისა. მაგალითად, როცა ტარდება მათემატიკის სასწავლო კონკურსი, გამარჯვებულების დადგენა ადვილია; საჭიროა ზუსტად გადმოცემა, ვინ გავიდა პირველ ადგილზე, ვინ – მეორესა და მესამეზე. კარგად უნდა გადამოწმდეს და სწორად დაიწეროს სახელები, სკოლები და სხვა საჭირო ინფორმაცია.

შეამოწმეთ ინფორმაცია. ნუ დაწერთ ჭორებს.

„იცნობდეთ თქვენს წყაროს“ – ჟურნალისტები უნდა ენდონ წყაროებს, რომლებიც ახალ ამბებსა და ინფორმაციას აწვდიან მათ. საზოგადოდ, ორი ტიპის წყარო არსებობს:

პირველწყარო: ის, ვინც უშუალოდ ფლობს ინფორმაციას, თვითმხილველი, ვისაც ძალიან ახლო შეხება აქვს ახალ ამბავთან.

მეორეული წყარო: ის, ვისაც ინფორმაცია სხვისგან აქვს მიღებული, ვინც არ ყოფილა მოვლენასთან ახლოს.

მეგობრებმა და ოჯახის წევრებმა შეიძლება მოგაწოდონ ინფორმაცია სტატიისთვის, მაგრამ, როგორც წესი, პროფესიონალი ჟურნალისტები არ იღებენ ინტერვიუს მეგობრებისგან. მოსწავლე ჟურნალისტებმაც ისეთი რესპონდენტები უნდა აირჩიონ ინტერვიუსთვის, რომლებიც მათი „კომფორტის ზონის“ ფარგლებს გარეთ არიან.

ორმა ან მეტმა სანდო წყარომ უნდა დაადასტუროს დეტალები, მოგვაწოდოს ფაქტობრივი მონაცემები და გაუზიაროს საკუთარი გადაწყვეტილებები საზოგადოებას. სანდო წყაროები არიან ის ადამიანები, მეცნიერები, ორგანიზაციები, რომლებიც წარმოადგენენ ექსპერტებს, თვითმხილველებს ან თავად არიან მოვლენის მონაწილეები. ესენი შეიძლება იყვნენ სკოლის ხელმძღვანელობა, სპორტსმენები და მწვრთნელები, მშობლები, რომლებიც რაიმე დარგის სპეციალისტები არიან, ან ექსპერტები, მაგალითად, კვების ან გარემოს დაცვის სფეროს მეცნიერები. ესენი ის ადამიანები არიან, რომელთაც შეუძლია ზუსტი და სანდო ინფორმაციის მოწოდება.

<u>შეადარეთ და დაუპირისპირეთ წყაროები ერთმანეთს სიმართლის მისაღებად</u>

მკითხველებმა იციან ციტატების წყაროების შესახებ. ეს ინფორმაცია მოცემულია, რადგან ავტორი უნდა ვახსენოთ: ქალბატონმა სიან კემ თქვა, პროფესორმა სტივენ ლიანმა აგვიხსნა, ჩინეთის მთავრობის განცხადებით, ამბობს პეკინის სახალხო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე იუ გუომინი.

იყავით მიუკერძოებელი.

ჟურნალისტებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა, რომ სრული ინფორმაცია მიაწოდონ აუდიტორიას. ამისთვის საჭიროა სანდო წყაროებთან დაკავშირება და სხვადასხვა თვალსაზრისის მქონე ადამიანებისგან ინტერვიუს აღება.

როცა ახალი ამბავი სკოლის ცხოვრებიდანაა, მეგობრებისგან მხოლოდ იმ შემთხვევაში აიღეთ ინტერვიუ, თუ ისინი პირველწყაროს წარმოადგენენ. იმ სკოლებში, სადაც ჟურნალისტური საქმიანობა ყველაზე წარმატებულია, ბეისბოლის გუნდის წევრებს არ ავალებენ ბეისბოლის თამაშების რეპორტაჟს. ამავდროულად, რეპორტიორებმა, რომლებიც ბეისბოლზე წერენ, აუცილებლად უნდა იცოდნენ თამაშის წესები.

რეპორტაჟში საკითხი ერთზე მეტი მხრიდან უნდა გაშუქდეს. ჩაატარეთ კვლევა და აიღეთ ინტერვიუები, რათა გაიგოთ სხვადასხვაგვარი მოსაზრებები და სხვადასხვა ექსპერტისგან /

დარგის სპეციალისტისაგან მოისმინეთ ანალიზი, როცა უფრო რთულ თემაზე აკეთებთ რეპორტაჟს. მიაწოდეთ მკითხველებს ინფორმაცია, დაეხმარეთ მათ ყველა შეხედულების გაგებაში, რომ მათ შეძლონ საკუთარი დასკვნების გაკეთება.

რეპორტიორები სკეპტიკოსები არიან. ისინი ყოველთვის ამოწმებენ ფაქტებს და მუდამ ახსოვთ, რომ წყაროს საკუთარი ფარული მოტივები შეიძლება ჰქონდეს ამა თუ იმ საკითხსა თუ მოვლენასთან დაკავშირებით.

წერეთ გასაგებად

მკაფიოდ წარმოიდგინეთ ამბავი, რომლის შესახებაც წერთ. ჰკითხეთ საკუთარ თავს: რის თქმას ვცდილობ მკითხველისთვის? თუ შეგიძლიათ, ამ კითხვას ერთი ან ორი წინადადებით უპასუხოთ – სტატიის დასაწერად მზად ხართ. გაზეთების მკითხველები ელოდებიან მოკლე და იოლად წაკითხვად სტატიებს. რეპორტიორებმა ისეთი სიტყვები უნდა შეარჩიონ, რომლებიც აზრს ზუსტად გადასცემს. წინადადების სტრუქტურა არ უნდა იყოს რთული. გრაფიკებით გამოსახული ინფორმაციის გაგება შეიძლება უფრო ადვილი იყოს, ვიდრე იმავე ინფორმაციის შემცველი რამდენიმე აბზაცის წაკითხვა. რუკები, ცხრილები და გრაფიკები ინფორმაციის

მოკლედ და ზუსტად გადასაცემად გამოიყენება. გამოიყენეთ მათემატიკის ცოდნა გრაფიკების, სვეტოვანი და წრიული დიაგრამების შესაქმნელად. რუკები, ცხრილები, ნახაზები და გრაფიკები ეხმარება მკითხველს, სწრაფად გაიგოს სტატიის შინაარსი.

<u>აქტივობის დასრულების შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს-</u>

- იმსჯელონ: რას გამოიყენებდნენ მიღებული ინფორმაციიდან დავალებაზე მუშაობის დროს და როგორ;
- ჩამოწერონ თეზისებად მათ მიერ მოსამზადებელ რეპორტაჟში, რომელი ინფორმაცია მოხვდებოდა აუცილებლად და რომელი – არა. რომელი კონკრეტული დეტალი დაეხმარებოდა მკითხველს უკეთ გაეგო სათქმელი.

აქტივობა 3. ეფექტური კომუნიკაციის ხერხები

- მოსწავლეები მსჯელობენ, რა განასხვავებს რეპორტაჟის ლექსიკასა და სტილს მათთვის ნაცნობი სხვა ჟანრებისგან (რესურსი 1.).

- ვინ იქნება მათი მკითხველი და როგორ შეიძლება ენობრივი საშუალებების გამოყენება იმისათვის, რომ რეპორტაჟი გასაგები და საინტერესო იყოს მკითხველისთვის (რესურსი 2.).

- მოსწავლეებს შერჩეული რეპორტაჟებიდან მოჰყავთ მაგალითები და ავსებენ ცხრილს (რესურსი 3.).

რესურსი 1.

რეპორტაჟი	სხვაობა	ნაცნობი ნებისმიერი ჟანრი

რესურსი 2.

ენობრივი საშუალება	მიზანი

რესურსი 3.

ეფექტური კომუნიკაციის ხერხები

მიზანი	კომუნიკაციის ხერხები	მაგალითები
კონტაქტის დამყარება მსმენელებთან	*პირდაპირი მიმართვა მსმენელებისადმი*	
მსმენელების დაინტერესება, ყურადღების მიქცევა მნიშვნელოვანზე	*მნიშვნელოვნის ხაზგასმა კითხვებით.*	
მთავრის ხაზგასმა-გამოყოფა		
პირადი დაინტერესების გამოხატვა	*პირველ პირში საუბარი, საკუთარი აზრის გამომხატველი სიტყვების გამოყენება (ჩემი აზრით, გამიგონია...)*	
მათთვის მისაღები და გასაგები მტკიცებულებების მოხმობა	*ავტორიტეტების აზრის დამოწმება, ფაქტების მოყვანა*	

აქტივობა 4.

ინტერვიუს მახასიათებლების გაცნობა და ინტერვიუს ჩაწერა

- პირველ ეტაპზე მოსწავლეები მსჯელობენ, ვისთან ფიქრობენ ინტერვიუს ჩაწერას და რა მიზნით? როგორია მათი მოლოდინები.
- შემდეგ კი მოსწავლეები ამუშავებენ ქვემოთ მოცემულ ტექსტს, ამოწერენ მათთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, მსჯელობენ, რა უნდა გაითვალისწინონ ინტერვიუს ჩაწერის დროს.

რესურსი - მოემზადეთ ინტერვიუსთვის

კარგი ინტერვიუ მთავარია კარგი რეპორტაჟისთვის. კარგ ინტერვიუს შეუძლია ახალი მიმართულებების დასახვა თქვენი რეპორტაჟისთვის. მას შეუძლია, აღწერილი მოვლენები თვითმხილველის თვალით დაგვანახვოს, ისეთი დეტალებითა და ფერებით, რომლებიც გამოაცოცხლებს მონათხრობს. საინტერესო ციტატები კონკრეტულობას შესძენს ამბავს. ამის გამო ინტერვიუს დროს ყოველთვის ყურადღებიანი და კარგად მომზადებული უნდა იყოთ. ინტერვიუმდე განსაზღვრეთ თემა, რომლის ცოდნაც სჭირდებათ თქვენს მკითხველებს. რატომ უნდა იცოდნენ თქვენმა მკითხველებმა ეს ინფორმაცია, ან თქვენი მკითხველების რომელ ჯგუფს მოუნდება ამის გაგება? გაარკვიეთ, რა იცით ამ თემის შესახებ უკვე, რა ფაქტები გაქვთ და როგორ უკავშირდება ეს თქვენი სკოლის ცხოვრებას. დაადგინეთ, კიდევ რისი ცოდნა ან დაზუსტება გჭირდებათ. ჩაატარეთ კვლევა. კვლევის ჩატარება მანამდე გჭირდებათ, ვიდრე ინტერვიუზე წახვალთ. გაარკვიეთ ყველაფერი, რასაც შეძლებთ. ეს დაგეხმარებათ შეკითხვების სწორად ფორმირებაში და თქვენს რესპონდენტსაც ეცოდინება, რომ თქვენ „საშინაო დავალება შეასრულეთ“ და ინტერვიუსთვის მოემზადეთ. შეარჩიეთ ყველაზე შესაფერისი ადამიანი ინტერვიუსთვის. გაარკვიეთ, რატომ გსურთ ამ ადამიანისგან ინტერვიუს აღება. შეუძლია მას ისეთი ინფორმაციის, თვალსაზრისის ან სხვაგვარი ხედვის მოწოდება, როგორსაც მხოლოდ ექსპერტი ან საქმეში ჩახედული ადამიანი გაგვიზიარებს? წინასწარ მოამზადეთ შეკითხვები. განსაზღვრეთ, რომელ შეკითხვებზე გჭირდებათ პასუხის აუცილებლად მიღება, რომ თქვენი ამბავი შეივსოს დეტალებით. თუ თქვენი რესპონდენტი მოულოდნელად გეტყვით: „10 წუთში

თვითმფრინავში უნდა ვიყო, მივემგზავრები“, პირველად რა შეკითხვას დაუსვამთ? რესპონდენტს დროს ტყუილად ნუ დააკარგვინებთ. მხოლოდ ისეთი შეკითხვები დაუსვით, რომლებზეც მხოლოდ მას შეუძლია გიპასუხოთ. დანარჩენი ინფორმაცია სხვაგან მოიძიეთ. ინტერვიუს წინ მოეწყვეთ კომფორტულად. შეამცირეთ პოტენციური ხელის შემშლელი ფაქტორები. შეამოწმეთ, რომ თქვენი ხელსაწყოები (კალამი, კომპიუტერი, ხმის ჩამწერი, ტელეფონი, ყურსაცვამი და ა. შ.) გამართულად მუშაობს. იზრუნეთ, რომ გარკვეული დროის განმავლობაში ხელი არაფერმა შეგიშალოთ. ჩაიცვით შესაფერისად. თქვენმა გარეგნობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს იმაზე, როგორ გიპასუხებთ რესპონდენტი. ზოგი შეკითხვა უფრო ეფექტურია, ზოგი – ნაკლებად. მოერიდეთ შეკითხვებს, რომლებსაც შეიძლება უპასუხო „დიახ“ ან „არა“. თქვენ გსურთ, რომ სასაუბროდ გამოიწვიოთ რესპონდენტი და სრულყოფილი პასუხები მიიღოთ. კარგი შეკითხვები ხშირად იწყება სიტყვით „რატომ“. მოერიდეთ არჩევანის შემცველ შეკითხვებს. მაგალითად: „სიტუაცია ასეთია თუ ისეთი?“ ამ ტიპის შეკითხვების პრობლემა ისაა, რომ თქვენი რესპონდენტის აზრით, შეიძლება არცერთი ვარიანტი არ იყოს მართალი. ანდა თუ მას არ სურს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, თქვენ მას საშუალებას აძლევთ, იოლად გიპასუხოთ – „არცერთი“. – და ამით ინფორმაციას ვერ იღებთ. დასვით ღია კითხვები. ამ ტიპის შეკითხვები რესპონდენტს წაახალისებს, მეტი ინფორმაცია გასცეს. ამგვარი შეკითხვებით ვარკვევთ „როგორ“, „რატომ“ და „რა მოხდა“. შეკითხვა შეიძლება დაიწყოთ ფრაზით „როგორ ფიქრობთ...“, „მოგვიყევით... “ ან „როგორია ვითარება?“ შეკითხვები მოკლედ დასვით. თუ კითხვის დასმისას ძალიან ბევრ ინფორმაციას გაუზიარებთ, რესპონდენტს შეიძლება დაავიწყდეს, რა ჰკითხეთ. კარგი ინტერვიუების უმეტესობა საუბარს ჰგავს. ჟურნალისტებს სურთ, რესპონდენტს თავისუფლად აგრძნობინონ თავი, რომ მათთვის მოხერხებული იყოს ინფორმაციის გაზიარება. ინტერვიუების უმეტესობა მეგობრული და ზრდილობიანია. მაგალითად, თუ თქვენ ინტერვიუს იღებთ ცნობილი სპორტსმენისგან მოგებული თამაშის შესახებ, ეს იოლად ასაღები ინტერვიუა. რესპონდენტთან კარგი ურთიერთობის დამყარების შემდეგ უნდა იზრუნოთ იმაზე, რომ დაიცვათ ბალანსი პიროვნების პატივისცემასა და თქვენს მიზანს შორის, მიიღოთ ინფორმაცია.

ინტერვიუს განმავლობაში გახსოვდეთ ეს მითითებები:

· დაამყარეთ თვალებით კონტაქტი.

· გაიმართეთ და ისე ისაუბრეთ, რომ თქვენი ხმა კარგად ისმოდეს.

· უსმინეთ ყურადღებითა და პატივისცემით. რესპონდენტი დროს გითმობთ და დააფასეთ ეს. დასაშვებია ხანდახან გაჩუმება. მიეცით რესპონდენტს დრო, რომ ჩამოაყალიბოს პასუხი ან გაიხსენოს ინფორმაცია.

· გააკეთეთ ჩანაწერები – იმ შემთხვევაშიც კი, თუ საუბრის აუდიოჩანაწერს აკეთებთ. მაინც ჩაიწერეთ რამე. ხმის ჩამწერები ხანდახან ფუჭდება, ან მათი ოპერატორები უშვებენ შეცდომებს.

· ყურადღებით მოისმინეთ პასუხები. შემდეგ დასასმელ შეკითხვაზე ფიქრმა ხელი არ უნდა შეგიშალოთ უკვე დასმულ კითხვაზე პასუხის მოსმენაში.

· რესპონდენტის პასუხების მოსმენისას შეაფასეთ, იღებთ თუ არა საჭირო ინფორმაციას. თუ ვერა, შეცვლილი ფორმით დასვით იგივე შეკითხვა და ხელახლა სცადეთ ინფორმაციის მიღება. შესაძლოა, პირველად ვერ მოახერხეთ კითხვის გასაგებად ფორმულირება. თუმცა, ისიც შესაძლებელია, რომ თქვენი რესპონდენტი თავს არიდებს პასუხს. როცა საჭიროა, დასვით დამატებითი შეკითხვები. შეკითხვების სია, რომელიც ინტერვიუმდე მოამზადეთ, არის საჭირო ინფორმაციის მიღების საშუალება – თუმცა იმის მიხედვით, რა ინფორმაციას იღებთ რესპონდენტისგან, შეგიძლიათ საუბარი სხვა მხარეს წაიყვანოთ. თამამად გადაუხვიეთ მომზადებული შეკითხვებიდან, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევაში, როცა რესპონდენტი ისეთ მოულოდნელ დეტალებზე საუბრობს, რომელთა შესახებაც არაფერი იცოდით. მაგრამ შეინარჩუნეთ სკეპტიკურობა: საუბარი იმიტომ ხომ არ მიჰყავთ სხვა მიმართულებით, რომ უფრო მნიშვნელოვანი რამ არ გაგიმხილონ? როცა საკმარის ინფორმაციას მიიღებთ, ისევ დაუბრუნდით შეკითხვების სიას. აუცილებლად დაიტოვეთ დრო, რომ მოასწროთ ყველაზე მნიშვნელოვანი შეკითხვების დასმა.

<u>ინტერვიუს დასრულება.</u>

თითოეული ინტერვიუ დაასრულეთ ფრაზით: „კიდევ რაიმეს ხომ არ დაამატებდით?“ ამით შეიძლება კიდევ მიიღოთ რაიმე ინფორმაცია. ბოლო შეკითხვა ასეთიც შეიძლება იყოს, განსაკუთრებით, რეპორტაჟის წერის ადრეულ სტადიაზე: „ხომ ვერ მირჩევთ, ვის შეიძლება ვესაუბრო ამის შესახებ? კიდევ: „სხვა რა ხდება ისეთი თქვენს სფეროში, რასაც ჩვენს საუბართან არაფერი აქვს საერთო, მაგრამ თქვენ გაინტერესებთ/თქვენს ყურადღებას იქცევს/გაწუხებთ?“ ასე შეიძლება შემდეგი სიუჟეტის თემა იპოვოთ, ან საქმის კურსში დარჩეთ. აუცილებლად ჰკითხეთ რესპონდენტს, როგორ ურჩევნია, რომ დაუკავშირდეთ დამატებითი შეკითხვების გაჩენის შემთხვევაში. ტელეფონით? – დააზუსტეთ ტელეფონის ნომერი. ელ. ფოსტით? – შეამოწმეთ მისამართი. ინტერვიუს შემდეგ თუ აპირებთ, რომ თქვენს სტატიაში გამოიყენოთ ინტერვიუს აღებისას შემჩნეული დეტალები – გარემო, ამინდი, რესპონდენტის ჩაცმულობა ან გარეგნობა, მისი სახის გამომეტყველება გარკვეული შეკითხვების დასმისას – ჩაიწერეთ ეს ყველაფერი მაშინვე, სანამ კარგად გახსოვთ. (შეიძლება, ინტერვიუს დროსვე სცადოთ ამის ჩაწერა, მაგრამ საუბრის დროს გაგიჭირდებათ). თუ ინტერვიუს აუდიოჩანაწერი გაქვთ, მოუსმინეთ და დაწერეთ. გადახედეთ ჩანაწერს და დაფიქრდით, კიდევ რის გაგება გჭირდებათ. მოიფიქრეთ, კიდევ რის გაკეთება შეგიძლიათ: სხვა წყაროებთან ინტერვიუ? მეტი კვლევა კონკრეტულ თემაზე? – მონიშნეთ ციტატები, რომლებიც სტატიაში გამოგადგებათ. უკვე შეგიძლიათ დაიწყოთ ფრთიანი ფრაზის მოძებნა, რომელიც გამოგადგებათ სტატიის დასამთავრებლად.

<u>აუდიოჩანაწერი და პასუხების ჩანიშვნა</u>

1. პროფესიული ეთიკა მოითხოვს, რომ ჰკითხოთ წყაროს, თუ შეიძლება ვიდეო ან აუდიო ჩანაწერის გაკეთება. 2. აუდიოჩანაწერი კარგია ხანგრძლივი ინტერვიუს დროს. ის გეხმარებათ გრძელი კომენტარების ზუსტად ჩაწერაში, რათა შემდეგ ზუსტად შეძლოთ წყაროს ციტირება. 3. აუდიოჩანაწერი გამოიყენება მხოლოდ თქვენს ჩანაწერებთან ერთად და იმ შემთხვევაში, როცა წყარო აცხადებს, რომ მისი ციტატა არასწორადაა მოყვანილი. რვეული მაინც უნდა გქონდეთ იმ შემთხვევისთვის, თუ ტექნიკა გიმტყუნებთ. 4. ბევრი ჟურნალისტი არ იყენებს აუდიოჩანაწერებს. მათი აზრით, აპარატურა ამცირებს წყაროს ნდობას ჟურნალისტისადმი. ზოგიერთ შემთხვევაში, წყარო გაცილებით მეტს იტყოდა, მისი საუბარი რომ არ იწერებოდეს. 5. ხმის ჩამწერი რესპონდენტს სახესთან ძალიან ახლოს არ უნდა მივიტანოთ. ეს მას ხელს შეუშლის. 6. როცა გესმით კომენტარი, რომელიც, თქვენი აზრით, საუკეთესო ციტატა იქნებოდა, აუცილებლად ჩაიწერეთ დრო, როცა ეს ითქვა. შეიძლება შემდეგში მთელი ჩანაწერის მოსმენის დრო არ გქონდეთ.

2. პასუხების ჩანიშვნა

1. შემოიღეთ პასუხების ჩაწერის საკუთარი სტრატეგია. ყველას სხვადასხვა სისტემა აქვს.

2. რვეულში წინასწარ ჩაწერეთ თქვენი შეკითხვები და დატოვეთ რამდენიმე ცარიელი სტრიქონი პასუხებისთვის.

3. წყარო ხშირად თანმიმდევრულად არ პასუხობს თქვენს შეკითხვებს.

4. უსმინეთ ყურადღებით და უყურეთ თვალებში.

5. წინასწარ იფიქრეთ დამატებით კითხვებზე.

6. თქვენ შეგიძლიათ, სთხოვოთ წყაროს, ერთი წუთით გადროვოთ, ვიდრე პასუხს ჩაიწერთ.

7. შეგიძლიათ, ჰკითხოთ რესპონდენტს, სწორად გაიგეთ თუ არა მისი ნათქვამი. წაუკითხეთ ციტატა, ან თქვენი სიტყვებით გაიმეორეთ.

8. სტატია დაწერეთ ინტერვიუს დამთავრებისთანავე, სანამ კარგად გახსოვთ ყველაფერი.

9. თქვენს ჩანაწერებს თარიღი დააწერეთ და შეინახეთ.

10. თქვენი ჩანაწერები სტატიის დასაწერად გამოყენებული დოკუმენტებია, ამიტომ ისინი გამოქვეყნებიდან 30 დღის განმავლობაში მაინც უნდა შეინახოთ. .....

<u>რეკომენდაცია მასწავლებელს:</u>

შესაძლებელია, მოცემული აქტივობის მერე მოსწავლეები დავაკვირვოთ ქვემოთ მოცემულ რომელიმე ინტერვიუს და შეაფასონ, ისაუბრონ, რამდენად ითვალისწინებს ინტერვიუერი წესებს. იმსჯელონ, რა იყო მისი მიზანი? რამდენად გამომდინარეობდა ყოველი მომდევნო შეკითხვა რესპონდენტის პასუხიდან, სწორად სვამდა თუ არა კითხვებს....

რესურსი – ინტერვიუ ტარიელ ხარხელაურთან – https://multimedia. tsu. ge/ge/article/xarxelauri

ამონარიდი ნანა კობაიძის რეპორტაჟიდან „თანამედროვე ქართული ბილიოლუქსები“: (http://arilimag.ge/category/%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9F%E1%83%98/page/2/)

<u>აქვე გთავაზობთ მცირე ინტერვიუს lib. ge-ს მთავარ რედაქტორ გიორგი კეკელიძესთან,</u> რომელიც, ვფიქრობთ, ამ თემით დაინტერესებული მკითხველის ყურადღებას დაიმსახურებს.

– როგორ გაჩნდა lib. ge-ს შექმნის იდეა?

– ეს იდეა, რა ბანალურადაც უნდა ჟღერდეს, ლიტერატურის სიყვარულმა ჩასახა. ერთი მხრივ, რამდენიმე პოეტი – ზაალ ჩხეიძე, მე, არჩილ თალაკვაძე, ნათია ნაცვლიშვილი, პედაგოგი ზაქარია ქიტიაშვილი და, მეორე მხრივ, დიზაინერ-პროგრამისტები – ნიკა წიკლაური და გიორგი კაცია, ასევე, ლიკა ავალიანი, შევიკრიბეთ ამ მოსაზრების გასაზიარებლად და lib. ge-ც დაიბადა. მოგვიანებით ამ შემადგენლობას პოეტები, დიანა ანფიმიადი და ქეთო ნინიძეც შემოუერთდნენ.

lib. ge არაკომერციული პროექტია. შესაბამისად, თითოეული ჩვენგანის ჩვეულებრივი სამუშაო დროის ერთგვარ სასიამოვნო დამატებად იქცა, თუმცა, საკმაო ენერგიას მოითხოვს.

დღესდღეობით lib.ge ყველაზე პოპულარული ლიტერატურული საიტია top.ge-ს სარეიტინგო დათვლებით (საშუალოდ დღეში 1200 „უნიკალური მომხმარებელი“).

– რა სირთულეებს გულისხმობს დღეს ეს ყველაფერი, როგორ ხდება მასალის მოძიება, არის თუ არა საავტორო უფლებებთან დაკავშირებული პრობლემები?

– უამრავი სირთულეა: ელემენტარული კორექტურით დაწყებული – არაერთი ტექნიკური პრობლემით დამთავრებული. ზოგიერთი ღიმილის მომგვრელიც კი იყო. მაგალითად, ავტორთა სიაში შეხვდებოდით ასეთ ჩამონათვალს: ჩესლავი მილოში, ფოლკნერი უილიამი და ა. შ. სახელობით ბრუნვას „ი“ რატომღაც ავტომატურად ემატებოდა. მოგვიანებით ეს პრობლემა „დავძლიეთ“.

საავტორო უფლებებთან დაკავშირებით ყველაზე ნაკლები პრობლემაა. ვთანამშრომლობთ თითქმის ყველა პერიოდულ გამოცემასთან, რომლებიც მასალებს გვაწვდიან, ასევე, ლიტერატურის ინსტიტუტთან. მასალის უმეტესობა ელექტრონული ფოსტით უშუალოდ ავტორებისგან შემოგვდის. არაერთი თანამედროვე ავტორი ასევე ინტენსიურად მიმართავს new@lib.ge-ს.

– რა რესურსებს ფლობთ დღეისათვის, რას მიიჩნევთ თქვენი ბიბლიოთეკის ყველაზე დიდ პლუსად და რა სიახლეებს გვპირდებით უახლოეს მომავალში?

– ჩვენი რესურსი დღესდღეობით რამდენიმე რომანითა და სამეცნიერო ნაშრომით, ათასობით მცირე ჟანრის პროზაული ტექსტითა და ამდენივე პოეტური ნიმუშით შემოიფარგლება. გვაქვს ესეისტიკისა და ინტერვიუს განყოფილებები, დავიწყეთ ფოლკლორული ნიმუშების აკრეფა და განთავსება. ახლო მომავალში აუდიოთეკის დაფუძნებას ვაპირებთ.

ჩემი დიდი ხნის ოცნებაა ისეთი განყოფილების შექმნა, სადაც განთავსდება ყველა ის ქართველი ავტორი, რომელთა ნაწარმოები მსოფლიოს სხვადასხვა ან რომელიმე ენაზეა ნათარგმნი. აქ იგულისხმება ისეთი ტექსტებიც, რომელთა თარგმნაც ბიზანტინისტიკის სპეციალური გამოცემების შეკვეთით ხდებოდა. ანუ, საჭიროდ მიმაჩნია თანამედროვე უცხოელ ქართველოლოგთათვის, რომელთა რიცხვი ახლა არცთუ დიდია, ე. წ. „მკვდარ ენებზე“ შესრულებული ტექსტების უფრო ადვილად მისაწვდომ რეჟიმში გამოქვეყნება.

რაღა თქმა უნდა, სასურველია, თუ მთელ პერიოდს გადავწვდებით, ჰაგიოგრაფიიდან – XXI საუკუნემდე. ამ ტექსტების უცხოელი მკითხველისთვის ერთ კომფორტულ სივრცეში განთავსება ქართული კულტურის პოპულარიზაციისთვის პატარა საქმე არ იქნება.

რასაკვირველია, ეს მთელ რიგ სირთულეებს უკავშირდება, თუმცა, იმედს არ ვკარგავ, რომელიმე ფილანთროპი ოდესმე მსგავსი იდეებით დაინტერესდეს.

lib.ge ავტორებთან დამოკიდებულებაში სრულიად ლიბერალურია, თუმცა, სელექციას ეს სულაც არ გამორიცხავს. ჩვენს ბიბლიოთეკაში ქვეყნდება ძალიან ბევრი ახალგაზრდა ნიჭიერი ავტორის ნაწარმოები, რომელთაც არ აქვთ საშუალება, ხშირად იხილონ თავი რომელიმე ბეჭდურ გამოცემაში.

სასიამოვნოა, რომ lib.ge-ს არაერთი საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველიც კითხულობს.

– როგორ აფასებთ თანამედროვე ქართულ ელექტრონულ ბიბლიოთეკებს? თუ შეგიძლიათ რომელიმე მათგანის გამორჩევა?

– არსებობს ძალიან კარგი გვერდები literatura.iatp.ge, litsaxelebi.ge, ასევე gabro.ge, რომლებიც ძველი წიგნის სკანირების გზით ცდილობენ ვირტუალური სივრცის შევსებას. ამ მეთოდს მალე ალბათ ჩვენც გამოვიყენებთ. ქართული ინტერნეტის საინტერესო ფენომენია literatura.ge, სადაც ავტორების რეიტინგს მკითხველები განსაზღვრავენ. ასევე უნდა ვახსენოთ ფორუმი „ებლიტფოც“.

ცალკე გამოსაყოფია ბლოგის სისტემაზე აწყობილი „არილი“ – მასში უამრავი მნიშვნელოვანი მასალაა თავმოყრილი.

– დღესდღეობით ბევრი უცხოური ელექტრონული ბიბლიოთეკა ფასიან მომსახურებაზე გადავიდა. ხომ არ „ემუქრება“ ეს საფრთხე ქართველ მკითხველსაც, რომლის შეთხელებული ჯიბისთვის მსგავსი პროექტები (ვგულისხმობ უფასო ელექტრონულ ბიბლიოთეკებს) ძალიან დიდი შეღავათია?

– რა თქმა უნდა, ეს წარმოუდგენელი ფუფუნებაა. მეტიც, ამჟამად სარეკლამო შემოთავაზებაზეც კი უარს ვამბობთ, რადგან გარკვეულ მორალურ პასუხისმგებლობას ვგრძნობთ იმ ავტორების წინაშე, რომლებიც სრულიად უანგაროდ თანამშრომლობენ lib.ge -სთან.

არ გამოვრიცხავ, შორეულ მომავალში ასეთი რამ მართლაც მოხდეს, მაგრამ, ცხადია, იმ დროისთვის სოციალური დონეც განსხვავებული იქნება.

აქტივობა 5.

კითხვების ჩამოყალიბება ინტერვიუსთვის.

- შეიძლება პირველ ეტაპზე მივცეთ დავალება: განსაზღვრეთ, რომელ შეკითხვებზე გჭირდებათ პასუხის აუცილებლად მიღება, რომ თქვენი ამბავი შეივსოს დეტალებით, თუ თქვენი რესპონდენტი მოულოდნელად გეტყვით: „10 წუთში თვითმფრინავში უნდა ვიყო, მივემგზავრები“. შემდეგ იმსჯელებენ, რატომ გადაწყვიტეს ასე.
- კითხვების საბოლოო ვერსიის შემუშავება.

აქტივობა 6.

ინტერვიუს ჩაწერა და რედაქტირება ინტერვიუს მახასიათებლების გათვალისწინებით.

მოსწავლეები ინაწილებენ სამუშაოს, წერენ ინტერვიუს და არედაქტირებენ მას მიზნის შესაბამისად.

აქტივობა 7. რეპორტაჟის პირველადი ვერსიების შექმნა და გაუმჯობესება რეპორტაჟის შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით.

- იდეების გენერირება – მოსწავლეები კიდევ ერთხელ მსჯელობენ, როგორ დაიწყონ რეპორტაჟი, რაზე გაამახვილონ ყურადღება.
- ერთობლივად აყალიბებენ შეფასების კრიტერიუმებს.
- უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ ნამუშევარს და იღებენ განმავითარებელ კომენტარს.

რეპორტაჟის შეფასების კრიტერიუმები	დიახ	გასაუმჯობესებელია	რეკომენდაციები გაუმჯობესებისათვის
ინფორმაცია გადმოცემულია ნათლად, დამაჯერებლად და საინტერესოდ.			
გამოკვეთილია მნიშვნელოვანი ინფორმაცია და კონკრეტული დეტალები, რომლებიც უკეთ წარმოაჩენს კლიმატმეგობრული სკოლების ფუნქციას.			
რეპორტაჟის ენა და სტილი შეესაბამება მიზანს.			
რეპორტაჟში გამოყენებული ლექსიკა და სტილი მიიზიდავს მკითხველის ყურადღებას.			
ვიზუალური გაფორმება შესაბამისია და ეხმარება მკითხველს ინფორმაციის უკეთ აღქმაში			